გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 187

2022 წლის 12 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა დავით ქებაძეს შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული №18 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და დავით ქებაძეს შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის N18 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის:ქ. გორი შინდისის გზ. მიმდებარედ.არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1472.00 კვ.მ; ს/კ 66.05.05.201 მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია დავით ქებაძის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო, ხელი შეეშალა სამუშაოების განხორციელებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავით ქებაძე ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ორი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და დავით ქებაძეს შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის N18 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი შინდისის გზ. მიმდებარედ.არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1472.00 კვ.მ; ს/კ 66.05.05.201) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და დავით ქებაძეს შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის N18 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი შინდისის გზ. მიმდებარედ.არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1472.00 კვ.მ; ს/კ 66.05.05.201) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე